დამტკიცებულია: ბრ. #07/01-16, 16/04/2024

სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების წესი

თბილისი
2024

1. წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ წარმოდგენილი ინიციატივების დაფინანსების წესი.
2. უნივერსიტეტს ინიციატივის დაფინანსების მოთხოვნით შესაძლოა მიმართოს საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის, სამაგისტრო ან სადოქტორო საფეხურის აქტიური სტატუსი მქონე სტუდენტმა ან სტუდენტთა გაერთიანებამ.

3. სტუდენტური ინიციატივები წარმოდგენილ უნდა იქნას პროექტის სახით, სპეციალური ფორმის საშუალებით (დანართი 1), სადაც დეტალურად იქნება აღწერილი:

3.1 პროექტის მიზნები;

3.2 ბიუჯეტი;

3.3 სამიზნე აუდიტორია;

3.4 პროექტის განხორციელების ვადები.

4. პროექტის თემა თავისუფალია და დამოკიდებულია სტუდენტის არჩევანზე.

4.1 პროექტი შესაძლოა გულისხმობდეს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: თემატური სკოლების, ტრენინგების და საჯარო ლექციების ორგანიზება (სპიკერების კომპეტენციის დადასტურება უნდა მოხდეს შესაბამისი სკოლის მიერ), საქველმოქმედო აქციების ორგანიზება და სხვა, უნივერსიტეტის პრიორიტეტების შესაბამისად.

5. საპროექტო განაცხადი წარედგინება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტს ან ელექტრონული ფორმით მიეწოდება უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს ელ. ფოსტის მისამართზე: info@ibsu.edu.ge.

6. სტუდენტური ინიციატივების ბიუჯეტი და მათი დამტკიცების წესი:

6.1 1000-ლარამდე, დაბალი ბიუჯეტის მქონე პროექტების დაფინანსებაზე გადაწყვეტილებას იღებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დეპარტამენტი, ფინანსურ დეპარტამენტთან კონსულტაციის საფუძველზე;

6.2 1000 ლარზე მეტი, მაღალი ბიუჯეტის მქონე პროექტებს განიხილავენ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტი და ფინანსური დეპარტამენტი, ხოლო პროექტის დაფინანსებაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის პრორექტორი ადმინისტრაციულ დარგში.

6.3 სტუდენტური ინიციატივების ბიუჯეტის ზედა ზღვარი განისაზღვრება 3,500 ლარით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, უნივერსიტეტის პრიორიტეტების გათვალისწინებით, შესაძლოა თანხა გაიზარდოს.

7. პროექტის წარდგენისა და განხილვის ვადები:

7.1 სტუდენტის ან სტუდენტთა გაერთიანების მიერ ინიციატივის წარდგენის ვადები შეზღუდული არ არის;

7.2 უნივერსიტეტის მიერ განაცხადების განხილვის მაქსიმალური ვადაა 10 სამუშაო დღე;

7.3 სტუდენტი ან საინიციატივო ჯგუფი ვალდებულია, განაცხადის წარდგენისას გაითვალისწინოს ზემოხსენებული განხილვის ვადები და პროექტის განხორციელების ვადები შესაბამისად განსაზღვროს.

8. დამტკიცებული განაცხადის ფარგლებში შესასყიდი საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვა განხორციელდება განაცხადის ავტორებთან შეთანხმებით;

8.1 იმ შემთხვევაში, თუ პროექტისთვის მოთხოვნილი პროდუქცია ან მომსახურება არ საჭიროებს შესყიდვას, მისი გაცემა მოხდება საწყობის მარაგებიდან და ღირებულება გამოიქვითება პროექტის ბიუჯეტიდან;

8.2 ნებისმიერი ხარჯი, რომელიც საჭიროა პროექტის განხორციელებისთვის და აღწერილი იყო პროექტის თავდაპირველ ბიუჯეტში, ანაზღაურდება უნივერსიტეტის მიერ;

8.3 პროექტში ჩართული სტუდენტები პროექტზე მუშაობენ ანაზღაურების გარეშე, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არსით გახლავთ მოხალისეობრივი. შესაბამისად, ბიუჯეტირებისას აღნიშნული ხარჯები მხედველობაში არ მიიღება.

9. უნივერსიტეტი დააფინანსებს ისეთ სტუდენტურ ინიციატივებს, რომლებშიც ჩართულები არიან მხოლოდ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები.

9.1 შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებულ პროექტებში სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების ჩართვა შესაძლებელია, შესაბამისი უნივერსიტეტის მიერ პროექტის თანადაფინანსების გზით.

10. წინამდებარე წესი ძალაში შედის რექტორის მიერ მისი დამტკიცებისთანავე. წინამდებარე წესში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მისი მიღებისათვის დადგენილი გზით. წესის შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტის მიერ.

დანართი 1: სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების მოთხოვნის ფორმა

სტუდენტური ინიციატივების წარდგენის ფორმა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

განაცხადი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას პროექტის იდეის, განხორციელების მექანიზმების და სხვა დეტალების შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია	
სტუდენტი / საინიციატივო ჯგუფი	

ზოგადი ინფორმაცია	
პროექტის კოორდინატორი	
კოორდინატორის საკონტაქტო მონაცემები	
პროექტის სავარაუდო დაწყების თარიღი	
პროექტის სავარაუდო დასრულების თარიღი	

მოთხოვნილი თანხა:		GEL
დაფინანსება სხვა წყაროდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში):		GEL
პროექტის მთლიანი ღირებულება:		GEL

პროექტის სახელწოდება:

პროექტის მიზანი:

პროექტის აღწერა:

პროექტის დასაბუთება და მდგრადობა:

პროექტის შესრულების გრაფიკი:

ეტაპი	ღონისძიება	კვირა / თვე											
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
I													
II													
III													
IV													

ბიუჯეტი

შავი ზღვის უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან მოთხოვნილი თანხის ოდენობა (ლარებში ყველა გადასახადის გათვალისწინებით). მოთხოვნილი ბიუჯეტი მოცემული ნიმუში:

ბიუჯეტის ცხრილი

N	სამუშაოს/მომსახურების დასახელება	საცალო ღირებულება	რაოდენობა	უნივერსიტეტისგან მოთხოვნილი თანხა	დაფინანსების სხვა წყაროდან მოთხოვნილი თანხა	სულ
1	**მომსახურება**					
1.1						
1.2.						
1.3.						
1.4.	სხვა (დაამატეთ შესაბამისი გრაფები)					
	სულ					
2	**ხელფასები / ჰონორარები**					
2.1						
2.2.						
2.3.	სხვა (დაამატეთ შესაბამისი გრაფები)					
	სულ					
3	**საოპერაციო ხარჯები**					
3.1.						
3.2.						

3.3						
3.4.	სხვა (დაამატეთ შესაბამისი გრაფები)					
	სულ					
საერთო ბიუჯეტი						

ბიუჯეტის აღწერა

პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

დანართები:

დანართის სახით შესაძლებელია იყოს წარმოდგენილი ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტი, რომელიც, სტუდენტის/გაერთიანების მოსაზრებით მნიშვნელოვანია საპროექტო განაცხადისთვის.

პროექტის კოორდინატორის ხელმოწერა:

პროექტის წარდგენის თარიღი: